For the cases in which a communicative process occurs, there are two matches, one is with no equivalent and there are differences in two cases: 104.4. communicative process vs. 93.4. *verbum sapiendi*, 114.4. communicative process vs. 103.4. *verbum sapiendi*. In the passages where visual perception occurs in combination with cognitive processes, there are three matches and in one case no equivalent.

In the passages where cognitive perception appears, there is agreement in one case and in two cases there are differences: 107.1. cognitive perception vs. 96.1. *verbum sapiendi*, 108.2. cognitive perception vs. 97.2. emotional transformation.

For the passages where a cognitive process occurs, there are only matches, namely three in number.

Finally, the *verba sapiendi* show two matches and one deviation: 109.3. *verbum sapiendi* vs. 98.3. emotion.

In the case of emotion, two completely different classes, motion and event, were chosen for the translation in two places. In these two places, we are dealing with transferred representations of actions that can be interpreted as metaphorical. However, many other differences also show that a different subcategory of *verba sentiendi* were chosen for the translation.

A detailed analysis of the *verba sentiendi* reveals Rustaveli's profound understanding of these verbs. Rustaveli shows a complex perspective on the processual character of these verbs. What may initially appear to be a hendiadys often reflects the complex emotional experience of the subjects. The first two lines of stanza 91 are an example for this:

91.1-2. მეფე გაჰკვირდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწერომარე;  
 გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე.  
 'The king was astonished, he was upset, his heart was beating furiously;  
 he sent twelve of his servants standing before him,'

Rustaveli draws a multifaceted portrait of the process from acoustic and cognitive processing to an emotional outbreak as a result of the thwarting of expectation: *გაჰკვირდა* *gahkvirda* ('to wonder') is followed by a profound emotional process, *გა-ცა-წყრა* *ga-ca-cqira* ('to get upset'), which is intensified, *გული უც მისთვის მწერომარე* ('the heart beats furiously'), and which ultimately causes Rostevan to initiate an active and deliberate action, namely the sending of the servants. Similar structures using a sequence of different verbs to describe a complex process can also be found, for example, in 85.4., 95.1., and 95.2.

The analysis of translation strategies resulted in the following formal categories: I) equivalent not present (1:0-correspondence) and II) equivalent present. Further subcategories can be identified under II): a) no verbal equivalent or participle and b) verbal equivalent. For category IIb) equivalents, the following translation strategies were observed:

1:1-correspondence: The verbs in the Basque translation agree with the Georgian original in terms of semantics and intention.

1:*pars*-correspondence: Differences in verb semantics and differences in intention are significant. There are divergences in the semantic category of the verb used in the Basque translation compared to the Georgian source, e.g. 111.4. vs. 100.4: In this verse, the Georgian verb *მოვსძულდი* *movszuldi* ('to be hated'), which as a result describes a strong emotional process, is translated in Basque as *utzi nau* ('to leave'), which describes a verb of motion. Thus, in the Basque translation, the result of an emotional process is described metaphorically by means of a verb of motion: the absence of God as a result of the emotional process.

n:1-correspondence: These correspondences are realized as the merging of 2 or more verbs in the Georgian text into one verbal phrase in the translation. As already described, Rustaveli's writing style is characterized by its detailed portrayal of complex processes regarding the *verba sentiendi*, often using a sequence of several *verba sentiendi*. An example of this can be found at 85.4./74.4: In Georgian, there is a verb of optical perception, *ნახეხ* *naxes* ('to see'), and a verb phrase that describes an intended impulse towards optical perception, *ნახვა მოუნდა* *naxva mounda* ('to want to see'). In the Basque translation, this is conveyed via a single verb phrase that denotes an intentional impulse towards visual perception, *ikusteko gogoaz zeuden* ('to have a desire to see').

The differences in perspective are presented in more detail, as they show a fundamentally different view of the narrative and therefore also have an effect on verb

semantics (separate category of 1:*pars*-correspondences). Differences in the narrative perspective also have an impact on the equivalents of *verba sentiendi* in the Basque translation. An example that illustrates this phenomenon can be found at 90.4./79.4.: In Georgian we encounter the verb *ვახმინებ* *vasmine* (‘to make someone listen to something’), the Basque equivalent is *dit [...] entzun nahi izan* (‘to want to listen’, S3SG.O3SG.IO1SG.PRS.PRF). The difference in perspective is that in Georgian the action is presented from the servant’s point of view, indicating that it was impossible for him to initiate a communicative process with the unknown one. Grammatically, this is classified on the one hand by the negation particle of impossibility, *ვერ*, and on the other hand by the diathesis of the verb, the first level of causative. In contrast, the Basque translation focuses on the communication attempts from the perspective of the unknown one, which he actively blocks without paying any attention to the servant. Here we find the negation particle *ez*, which does not convey modality, and *nahi*, which appears as a modal construction of impulse or volition. Such differences in perspective could be explained by stylistic considerations in the narrative dynamics of the translation. Of course, they could also reflect other translations that may have served as a model. Something similar can be observed, for example, in 97.1–2./86.1–2.

A quantitative overview of the translation strategies shows the following picture:

|  |    |
|--|----|
| 1:0  | 6  |
| 1:1  | 28 |
| 1: <i>pars</i>                             | 15 |
| ➔ Of these, differences due to perspective | 2  |
| n:1  | 4  |

Table 7: Overview of correspondence strategies

#### 4. Conclusion

The contrastive analysis of the Georgian text and the Basque translations based on the third chapter of *Vepxistqaosani* reveals many different phenomena and translation strategies. The methodology based on the “Rustaveli goes digital” project provided a practical tool and working method for corpus linguistic analyses. The third chapter alone reveals many different perspectives on Rustaveli’s epic, the reception of his language, the effect of his metaphors and his almost psychological perspective on processes of perception, emotion and cognition. It should be noted that, on the one hand, there are adequate translations of these processual actions in the translation, which often applies participles. On the other hand, some passages show that Rustaveli’s profound approach to complex emotional processes or the gradual depiction of perceptual processes have not been transferred. Most significant here are fundamental differences in verb semantics, e.g. in 111.4./100.4., or the merger of two (or more) verbs into one verb, whereby the complex processual character is lost (e.g. in 85.4./74.4.). In addition, many of the examples discussed show the direct connection between different verb semantics and different perspectives and intentions.

It should be noted that a large percentage of deviations in verb semantics are concentrated in the five stanzas in which Rostevan tells Tinatin what happened to him and describes the accompanying inner processes of his emotional world. This confluence of

evidentiality, the blurring of reality and the multitude of inner processes presumably caused the translator to contemplate on the adequate depiction of the story, the comprehensibility for the readership or the narrative style, perhaps also a different understanding of the deeper semantics of the *verba sentiendi*. Translators always find themselves in a field of tension between the original and its translation, with the linguistic means of expression and literary and linguistic traditions, as well as personal stylistic decisions, having a strong impact on the relationship.

The empirical analysis shows a diversity of translation strategies and reveals insights both into Rustaveli's use of *verba sentiendi*, which form the pivotal point for the semantics and semantic roles of entire sentences, and into the handling of these particular verbs in the Basque translation.

It would be promising to extend the analysis to further chapters for more comprehensive impressions, to work with further translations in other languages, which would multiply the insights into the intertextual relationships, and to carry out a deeper semantic analysis of the verbs, also regarding their processuality.

Particularly revealing was the complexity of the information structure of Rustaveli's epic and the profound structure of his linguistic expression, a closer analysis of which in different translations would certainly provide further insights into translation strategies and strategies of different languages as well as into Rustaveli's timeless epic.

## Bibliography

1. **Glück, Glück-Schmidt 2016:** Glück, H., Glück-Schmidt A., "Verbum sentiendi." In: Glück, Helmut & Michael Rödel (eds.), *Metzler Lexikon Sprache*. 5<sup>th</sup> edition, Stuttgart: J. B. Metzler Verlag. 751.
2. **Henjum, Koller 2020:** Henjum, K., Koller, W., *Einführung in die Übersetzungswissenschaft*. 9<sup>th</sup> edition. Tübingen: Narr Francke Attempt Verlag.
3. **Rehbock 2016:** Rehbock, H., "Intention", In: Glück, Helmut & Michael Rödel, eds. *Metzler Lexikon Sprache*. 5<sup>th</sup> edition. Stuttgart: J. B. Metzler Verlag. 299-300.
4. **Rustaveli 1999:** Rustaveli, X., *Zaldun tigrelarruduna*. Transl. Xabier Kintana. Madrid: Grupo Santillana de Ediciones / Zubia Editoriala.
5. **Šanize, 1975:** Šanize, A. (ed.), *Vepxišq̄aosani*. Tbilisi: Sabčota Sakartvelo.
6. **Van Valin 2005:** Van Valin R. D., 2005. *An Introduction to Syntax*. 4<sup>th</sup> edition. Cambridge: Cambridge University Press.
7. **Wierzbicka 1996:** Wierzbicka A., *Semantics. Primes and Universals*. New York/Oxford: Oxford University Press.

გრძნობა-აღქმის ზმნების კორპუსლინგვისტური ანალიზი  
„ვეფხისტყაოსნის“ დედანსა და  
პოემის ბასკურ თარგმანში  
იულიან ჰაშე  
(ფრანკფურტის უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7997>  
[julian.hasche@gmail.com](mailto:julian.hasche@gmail.com) || ORCID: [0009-0002-3878-8457](https://orcid.org/0009-0002-3878-8457)

### შესავალი

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, არამედ იგი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ლიტერატურული ძეგლია – პოემის თარგმანები 58 ენაზეა შესრულებული სხვადასხვა დროს სხვადასხვა მთარგმნელის მიერ. ჩვენი კვლევის მიზანია პოემის ქართული ტექსტისა და მისი ბასკური თარგმანის შედარება. ანალიზისათვის შერჩეულია აკაკი შანიძის (1975) მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ვერსია და ხაბიერ კინტანას (1999) ბასკური თარგმანი.

ჩვენი ნაშრომის საკვლევი ობიექტია ე.წ. გრძნობა-აღქმის (*verba sentiendi*) ზმნები. დასახელებული სემანტიკური ზმნების ჯგუფი მრავალფეროვანია და აღნიშნავს სენსორულ (მაგალითად: დანახვა, მოსმენა) ან კოგნიტიურ აღქმას (მაგალითად: ფიქრი, რწმენა, ცოდნა) (Glück, Glück-Schmidt 2016:751). სწორედ ზმნათა ეს სპეციფიკური ჯგუფი არის შერჩეული ქართული ორიგინალისა და ბასკური თარგმანის ურთიერთმიმართების შესასწავლად თარგმანის სტრატეგიების გამოვლენის თვალსაზრისით.

კვლევის ემპირიული მონაცემები აღებულია „ვეფხისტყაოსნის“ მრავალენოვანი პარალელური კორპუსიდან „რუსთაველი ციფრულ ეპოქაში“ (*Rustaveli goes digital*)<sup>1</sup>. აღნიშნული კორპუსი წარმოადგენს დიდ მონაცემთა ბაზასა და თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ეფექტურ ხელსაწყოს ინტერდისციპლინური კვლევების განსახორციელებლად. აღნიშნული კორპუსის შექმნა 2019 წელს დაიწყო ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში კავკასიოლოგიის კათედრაზე. პროექტის მიზანია ვეფხისტყაოსნის თარგმანების ანოტირებული პარალელური კორპუსის შექმნა 58 ენაზე.

<sup>1</sup> <https://rustaveli-goes-digital.de/>



## 1. *Verba sentiendi* - თეორიული ჩარჩო

ტერმინის *verba sentiendi* გაგება სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანია და განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა პარამეტრების მიხედვით ვახდენთ მათ დეტერმინაციას. ზოგადი განმარტების მიხედვით, ეს არის ზმნათა სემანტიკური ნიშნით გამოყოფილი ჯგუფი, რომელიც განსხვავდება პრედიკაციის სხვა შემთხვევებისაგან. ზოგადად, ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ გრძნობის, აღქმის, აზროვნების, ნებისყოფის ან ემოციური განცდის ზმნებს, რომლებიც შეიძლება თავის მხრივ დაიყოს რამდენიმე კატეგორიად მათი რთული პროცედურული ხასიათის გამო. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვეყრდნობით ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაციის ვან ვალინისეულ თემატური როლების მოდელს (Van Valin 2005:31), რომლის მიხედვითაც ზმნის არგუმენტები თემატურად არიან კლასიფიცირებულნი და ზმნით გადმოცემული მოქმედებების კატეგორიზება თემატური როლების საფუძველზე ხორციელდება.

ვან ვალინის თეორიაში ორი ასპექტი არის ფუნდამენტური სემანტიკური როლების მოდელისთვის: ერთი მხრივ, სემანტიკური როლები გრამატიკული მიმართებებისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, მეორე მხრივ, ზმნის არგუმენტების სემანტიკური როლების განსაზღვრება პრედიკატზე არის დამოკიდებული. ამრიგად, არგუმენტების როლს კონკრეტული ზმნის სემანტიკა განსაზღვრავს (Van Valin 2005:22-23). შესაბამისად, ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე, ერთსა და იმავე სახელურ ფრაზას (არგუმენტს) შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული როლი, მაგალითად:

- |    |                                   |                            |
|----|-----------------------------------|----------------------------|
| a. | I have cut up <i>the book</i> .   | <i>the book</i> = პაციენსი |
| b. | I have received <i>the book</i> . | <i>the book</i> = ტოპიკი   |
| c. | <i>The book</i> scared me.        | <i>the book</i> = სტიმული  |

ვან ვალინის თემატური როლების კლასიფიკაციის საფუძველზე სტატი-აში გამოყოფილია შემდეგი ქვეკატეგორიები: ა) „გრძნობა-აღქმის“ ზმნები, ბ) „აზროვნების“ და „ცოდნის“ ზმნები, გ) „მიზნის“ ზმნები, დ) „ემოციის“ ზმნები და ე) ჩამოთვლილ ზმნათა კომბინაციები ა-დან დ-ს ჩათვლით (Van Valin 2005:31).

## 2. კვლევის მეთოდოლოგია

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისა და ბასკური თარგმანის ანალიზის დროს ეკვივალენტების განსაზღვრის თეორიულ ჩარჩოს გამოვიყენეთ ჰენიუმისა და

კოლერის (2020) ეკვივალენტობის თეორია. ჰენიუმი და კოლერი ხუთი ტიპის ეკვივალენტს გამოყოფენ: 1:1-შესატყვისობა, 1:n-შესატყვისობა, n:1-შესატყვისობა, 1:0-შესატყვისობა და 1:pars-შესატყვისობა (Henjum, Koller 2020:253-279). ეს კატეგორიები ადაპტირებულნი იქნენ „გრძნობა-აღქმის“ ზმნების ანალიზისთვის შემდეგნაირად:

- 1) 1:1-შესატყვისობა: ორიგინალში არსებულ გრძნობა-აღქმის ზმნას პირდაპირი სემანტიკური ეკვივალენტი მოეპოვება ბასკურ თარგმანში;
- 2) 1:n-შესატყვისობა: ორიგინალში არსებული გრძნობა-აღქმის ზმნა რამდენიმე ზმნით ან ზმნური ფრაზითაა გადატანილი ბასკურ თარგმანში.
- 3) n:1-შესატყვისობა: ორიგინალში არსებული ერთმანეთთან დაკავშირებული გრძნობა-აღქმის რამდენიმე ზმნა გაერთიანებულია ერთ ზმნად ან ზმნურ ფრაზად ბასკურ თარგმანში;
- 4) 1:0-შესატყვისობა: ორიგინალში არსებულ გრძნობა-აღქმის ზმნას არ აქვს სემანტიკური ეკვივალენტი ბასკურ თარგმანში;
- 5) 1:pars-შესატყვისობა: ქართული ორიგინალის გრძნობა-აღქმის ზმნას ბასკურ თარგმანში მხოლოდ ნაწილობრივი ან შეზღუდული ეკვივალენტი აქვს, მაგრამ ფრაზის დონეზე განიხილება როგორც ეკვივალენტი. ეს კატეგორია მოიცავს განსხვავებებს ზმნის ძირითად სემანტიკაში (მაგალითად, გრძნობა-აღქმის ზმნა ითარგმნება როგორც მოძრაობის ზმნა ან განზრახვა. 1:pars-შესატყვისობა საგანგებოდ და დეტალურად არის განხილული ემპირიული მასალის ანალიზისას.

რუსთაველის მრავალენოვან პარალელურ კორპუსში ბასკური ტექსტი ფრაზული აღინიშნების პრინციპით არის დაპარალელელებული ქართულ ტექსტთან. ბასკური თარგმანი გაანალიზდა შედარება-შეპირისპირებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით.

### 3. ემპირიული ანალიზის შედეგები

საანალიზო კრიტერიუმების მიხედვით, ქართულ ტექსტში არსებული 53 შემთხვევიდან ბასკურში დაფიქსირდა 47 ეკვივალენტი, რომლებიც წარმოადგენს 1:0-შესატყვისობას ან n:1-შესატყვისობას. ეკვივალენტები ბასკურ თარგმანში გადატანილია ზმნის პირიანი ფორმით ან ზმნის უპირო ფორმით. 47 ეკვივალენტიდან 32 არის ზმნის პირიანი ფორმით თარგმნილი (შესაბამისად, 15 ზმნის უპირო ფორმით). განზრახვის კატეგორიის მიხედვით, საერთო შეფარდება არის

12:41 (განზრახვით : განზრახვის გარეშე) ქართულში და 12:35 ბასკურში. ქართული და ბასკური თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ვიღებთ:

ქართული

|         |                     | + განზრახვა | - განზრახვა |
|---------|---------------------|-------------|-------------|
| ბასკური | + განზრახვა         | 10          | 2           |
|         | - განზრახვა         | 0           | 35          |
|         | არ არის ეკვივალენტი | 2           | 4           |

ცხრილი 1: განზრახვის შეპირისპირება ქართულსა და ბასკურში

მასალის კვალიტატიურმა და კვანტიტატიურმა ანალიზმა შემდეგი სურათი გამოავლინა: დადასტურდა 8 შემთხვევა, როდესაც ორივე ენაში არის განზრახვა და 35 შემთხვევა, როდესაც არც წყარო ენაში და არც ბასკურში არ დასტურდება განზრახვა. გარდა ამისა, დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქართულ ზმნას არ მოეპოვება ეკვივალენტი ბასკურში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ორი შემთხვევა. პირველი შემთხვევა არის განსხვავება მოქმედების პერსპექტივის თვალსაზრისით (111.4./100.4.) და მეორე შემთხვევა არის განსხვავება ზმნის სემანტიკასა და გარდამავლობაში (90.3./79.3.).

ზმნების სემანტიკური კლასების სიხშირის ზოგადი ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ სურათს:

|   | ქართული | ბასკური |
|---|---------|---------|
| ემოცია  | 14      | 11      |
| ოპტიკური აღქმა  | 10      | 6       |
| კომუნიკაციის პროცესი (აკუსტიკური აღქმა + კოგნიტური პროცესი) | 5       | 2       |
| ოპტიკური აღქმა + კოგნიტური პროცესი                          | 4       | 3       |
| კოგნიტური აღქმა   | 3       | 2       |
| კოგნიტური პროცესი   | 3       | 5       |
| ცოდნის გამოხატვა <i>verbum sapiendi</i>                     | 3       | 6       |
| აკუსტიკური აღქმა  | 2       | 2       |
| ემოციური ტრანსფორმაცია                                      | 2       | 3       |
| იმპულსი + კოგნიტური პროცესი                                 | 2       | 1       |
| იმპულსი + ემოცია  | 2       | 0       |

|   |   |   |
|---|---|---|
| აკუსტიკური აღქმა + კოგნიტური პროცესი              | 1 | 1 |
| იმპულსი + ოპტიკური აღქმა                          | 1 | 1 |
| მოძრაობა  | 0 | 1 |
| მოვლენა   | 0 | 1 |
| იმპულსი + ცოდნის გამოხატვა <i>verbum sapienti</i> | 0 | 1 |
| ფსიქიკური ტრანსფორმაცია                           | 0 | 1 |

ცხრილი 2: ზმნის სემანტიკური ჯგუფების რაოდენობრივი სიხშირე ქართულსა და ბასკურში

ზმნის სემანტიკური ჯგუფების მიმოხილვა აჩვენებს გარკვეულ განსხვავებებს ქართულსა და ბასკურს შორის. „კომუნიკაციის პროცესი“, „ცოდნის გამოხატვა“ (*verbum sapienti*), „ემოციური ტრანსფორმაცია“, „ფსიქიკური ტრანსფორმაცია“ და „მოძრაობა“ არა მხოლოდ სპეციფიკურად არის გადმოცემული ბასკურ თარგმანში, არამედ ისინი რაოდენობრივადაც აჭარბებენ ზმნის სხვა სემანტიკურ ჯგუფებს.

ზმნის სემანტიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირის კონტრასტული ანალიზი 47 შემთხვევიდან გვიდასტურებს 34 ეკვივალენტს, რაც იძლევა 72.34%-იან თანხვედრის მაჩვენებელს. განსხვავებული შემთხვევების შედარება, რომლებიც 1:pars-თანხვედრად უნდა განიხილებოდეს, შემდეგ სურათს აჩვენებს:

| ქართული |  | ბასკური  |                                   |
|---------|--|----------|-----------------------------------|
| სტროფი  | სემანტიკური ჯგუფი  | სტროფი   | სემანტიკური ჯგუფი                 |
| 93.3.4  | იმპულსი + შემეცნებითი პროცესი                                  | 82.3.4.  | შემეცნებითი აღქმა                 |
| 95.1.3  | იმპულსი + ემოცია   | 84.1.2.  | ფსიქიკური ტრანსფორმაცია           |
| 104.4.1 | კომუნიკაციური პროცესი (აკუსტიკური აღქმა + შემეცნებითი პროცესი) | 93.4.1.  | <i>verbum sapienti</i> (+ ემოცია) |
| 107.1.5 | შემეცნებითი აღქმა  | 96.1.4.  | <i>verbum sapienti</i>            |
| 108.1.3 | ემოცია   | 97.1.3.  | მოვლენა                           |
| 108.2.2 | შემეცნებითი აღქმა  | 97.2.2.  | ემოციური ტრანსფორმაცია            |
| 109.3.1 | ემოცია   | 98.3.2.  | <i>verbum sapienti</i>            |
| 109.3.2 | <i>verbum sapienti</i>   | 98.3.3.  | ემოცია                            |
| 111.1.3 | ოპტიკური აღქმა   | 100.1.3. | შემეცნებითი პროცესი               |
| 111.4.3 | ემოცია   | 100.4.3. | მოძრაობა                          |
| 112.1.2 | ემოცია   | 101.1.2. | შემეცნებითი პროცესი               |

|         |  |          |                                  |
|---------|--|----------|----------------------------------|
| 114.4.1 | კომუნიკაციური პროცესი<br>(აკუსტიკური აღქმა +<br>შემეცნებითი პროცესი) | 103.4.1. | <i>verbum sapiendi</i>           |
| 118.4.3 | იმპულსი + ემოცია   | 107.4.4. | იმპულსი + <i>verbum sapiendi</i> |

ცხრილი 3: სემანტიკური ჯგუფის ზმნების შესატყვისობები – გადახრების მქონე პასაჟების კონტრასტული ანალიზი ქართულსა და ბასკურში

ცხრილის მიხედვით, გადახრების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შემდეგ სტროფებში: 96–101 (ყველა გადახრის 61.53%).

კონტრასტული ანალიზისთვის ყველაზე ხშირი სემანტიკური ჯგუფები გაანალიზებულია ქართული წყარო ტექსტის პერსპექტივიდან და მოძებნილია მათი ეკვივალენტები ბასკურ თარგმანში.

ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად შევეცადეთ გამოგვევლინა მთარგმნელობითი სტრატეგიები. ცხრილში მოცემულია ბასკური თარგმანის სტრატეგიების მიმოხილვა და მისი რაოდენობრივი მაჩვენებელი:

|   |    |
|---|----|
| 1:0   | 6  |
| 1:1   | 28 |
| 1:pars  | 15 |
| ➔ პერსპექტივის ცვლით გამოწვეული განსხვავებები | 2  |
| n:1   | 4  |

ცხრილი 4: სტრატეგიების სტატისტიკური მიმოხილვა თარგმანში

#### 4. დასკვნა

ქართული ტექსტისა და ბასკური თარგმანის კონტრასტული ანალიზი, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ მესამე თავის საფუძველზე ჩატარდა, გვაჩვენებს მთარგმნელთა მიერ მრავალფეროვან და განსხვავებულ მთარგმნელობით სტრატეგიებს. „ვეფხისტყაოსნის“ მრავალენოვან პარალელურ კორპუსზე დაფუძნებული კვლევის მეთოდოლოგია წარმოადგენს კორპუსლინგვისტური ანალიზისათვის პრაქტიკულ ხელსაწყოს. პოემის მესამე თავი მრავალმხრივია მნიშვნელოვანი, რადგან გრძნობა-აღქმის ზმნების სიმრავლე საშუალებას გვაძლევს აღვწეროთ მთარგმნელობითი სტრატეგიები. კორპუსლინგვისტური ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია პოემა სხვადასხვა პერსპექტივიდან ვიკვლიოთ, გავაანალიზოთ ორიგინალისა და თარგმანის პოეტური ენა, განვსაზღვროთ მეტაფო-

რულობის ხარისხი და სხვა. აღსანიშნავია, რომ თარგმანში ხშირად რუსთველისეული ღრმა ფილოსოფიური თუ ფსიქოლოგიური პასაჟები ზედმიწევნით არის გადატანილი. თუმცა თარგმანის ზოგიერთი ნაწილის ანალიზი აჩვენებს, რომ რუსთაველის დამოკიდებულება რთული ემოციური მოვლენებისადმი ან აღქმის პროცესების თანდათანობითი აღწერა არ არის სათანადოდ გადატანილი. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ზმნის სემანტიკური ჯგუფების ძირითადი განსხვავებები, როგორებიცაა 111.4/100.4. ან ორი (ან მეტი) ზმნის ერთ ზმნურ ერთეულში გაერთიანება, რის შედეგადაც აღნიშნული პასაჟის კომპლექსური პროცესული ხასიათი დაკარგულია (მაგ. 85.4/74.4). გარდა ამისა, განხილული მაგალითები აჩვენებს, თუ როგორ არის ზმნური სემანტიკა გადაჯაჭვული სხვადასხვა პერსპექტივასა და განზრახვასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ზმნური სემანტიკის გადახრების დიდი ნაწილი ფიქსირდება იმ სტროფებში, რომლებშიც როსტევეანი თინათინს თავის თავგადასავალზე უყვება და აღწერს საკუთარ შინაგან ემოციურ პროცესებს. ამ მრავალფეროვანმა შიდა პროცესებმა, სავარაუდოდ, აიძულა მთარგმნელი სიუჟეტის ადეკვატური გადმოცემის შესახებ ეფიქრა, მკითხველისთვის გასაგები ენა შეერჩია ან თხრობითი სტილის შესაფერისი მიდგომა გამოენახა. შესაძლოა ამ გარემოებას სხვა ახსნაც მოვუძებნოთ - ეს არის მთარგმნელის მხრიდან პასაჟის სემანტიკური სიღრმეების განსხვავებული აღქმა. მთარგმნელს მუდმივად უწევს რთული არჩევანის გაკეთება და მრავალი ლიტერატურული თუ ენობრივი ნიუანსის გათვალისწინება, ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს მთარგმნელის პირადი სტილისტური და ენობრივი არჩევანის ფაქტორიც.

ემპირიული მასალის ანალიზი გვიჩვენებს როგორც რუსთაველის მიერ *გრძნობა-აღქმის* სემანტიკის გამომხატველი ზმნების გამოყენების, ისე მისი თარგმანში გადატანის სტრატეგიების მრავალფეროვნებასა და ტრანსფორმაციის ხარისხს.

სამომავლო კვლევისათვის საინტერესო იქნება ზმნის სემანტიკური ჯგუფების სიღრმისეული ანალიზი და შედარება არა მხოლოდ ბასკურ, არამედ სხვა თარგმანებთანაც. დარწმუნებული ვართ, რომ ინფორმაციული სტრუქტურის შესწავლა-ანალიზი „ვეფხისტყაოსანში“ კვლევის უფრო ფართო და მრავალმხრივ პერსპექტივებს წარმოაჩენს. სიღრმისეული კვლევა-ძიება კიდევ უფრო საინტერესოს გახდის პოემის მეტაფორული სტილის, თარგმანის სტრატეგიებისა და თვით რუსთაველის მარადიული ეპოსის გაგებას.